

ՋԵՆՏՈՐՄԻՈ

2004

9/12

ՃՅՁՄԵՆ 1924 ԵՐՈՅԵ

დიდი აღმოჩენა სინას მთის ძართულ ხელნაწერთა ახალ კოლექციაში

მკითხველმა საზოგადოებამ, კარგა ხანია, იცის, რომ სინას მთაზე გაშენებულ მონასტერში, რომელიც IV საუკუნის წმ. მოწამის, ეკატერინეს, სახელს ატარებს, და რომელშიც განსაკუთრებით IX-X სს-ში ინტენსიურად მოღვაწეობდნენ ქართველი მწიგნობარი ბერებიც, 1975 წელს (26 მაისს) აღმოჩნდა 1100-ზე მეტი ხელნაწერი სხვადასხვა ენაზე (ბერძნული, არაბული, სირიული, ეთიოპური, სლავური და ქართული). ამ მნიშვნელოვან აღმოჩენას მაშინვე საუკუნის აღმოჩენა უწოდეს: იმ დროისათვის ეერავინ წარმოიდგენდა, რომ ამავე მონასტერში აღნიშნულ აღმოჩენას სულ მალე მოჰყვებოდა მეორე, ასევე საუკუნის აღმოჩენა, სახელდობრ, რომ სინას მთის ახლად მიკვლეული ხელნაწერების ქართულ კოლექციაში აღმოჩნდებოდა ქართულ-ალბანური პალიმფსესტები და რომ პალიმფსესტების ქვედა გადარეცხილი ალბანური ტექსტი გაიშიფრებოდა.

ბიბლიურ-ტექსტოლოგიურმა ინსტიტუტმა 2003 წლის თარიღით გამოსცა ამ აღმოჩენის ავტორის, ზაზა ალექსიძის, წიგნი „კაეკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“. სათაურს ქვესათაურად მოსდევს „აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.“ ქართულ-ალბანურ პალიმფსესტებში ალბანური ანბანით შესრულებული ტექსტის დადასტურება მართლა აღმოჩენა იყო, მაგრამ ამ ტექსტის გამ-

იფრება, რაც შემდეგ შესრულდა ზ. ალექსიძის მიერვე, ეს უკვე ჩვეულებრივ აღმოჩენას ნამდვილად აღემატება. ზ. ალექსიძემ წლების (1994-2003) დაძაბული მუშაობის შედეგად და იმ ერულიციის წყალობით, რაც მას ასე უხვად აქვს მომადლებული, ალბანური ტექსტი წაიკითხა და წაკითხული ტექსტის ფარგლებში ათი საუკუნის წინ გამქრალი კაეკასიის ალბანთა ენა აღადგინა.

ზ. ალექსიძე დიდი ივანე ჯავახიშვილის სტილის მკვლევარია, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის ღრმა ცოდნასთან ერთად თანაბრად ფლობს ისტორიკოსის, ლიტერატურათმცოდნისა და ენათმეცნიერის კვლევის მეთოდებს. უნდა ითქვას, რომ კვლევის ამ მეთოდების ერთობლივი გამოყენების გარეშე ეს არაჩვეულებრივი წიგნი ვერ დაიწერებოდა.

ზ. ალექსიძის დასახელებული წიგნი რვა თავისაგან შედგება, უძღვის „წინასიტყვაობა“ და „შესავალი“ და ერთვის „ბოლოსიტყვა“. „შესავლის“ ტექსტი, სადაც ძირითადად ამ აღმოჩენის მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, მთავრდება მეტად ორიგინალური და საინტერესო მიძღვნიტ. ზ. ალექსიძემ კარგად იცის, რომ იყვნენ მეცნიერები და მოყვარულები, რომლებსაც უმუშავეიათ უცნობი დამწერლობების გაშიფრვაზე, მაგრამ მყდარი შედეგი მიუღი-

ათ, ან სულ არ აქონიათ შედეგი. „ყველა წარმატებული აღმოჩენა - წერს იგი - წარუმატებელი ცდების, მეცდომით განუღებელი გზების ავტორთა მხრებზე დგას. მათ ხსოვნას, ეისი სახელიც დაივიწყა ისტორიამ, ან მხოლოდ შეცდომებით დაიმახსოვრა, უძღვის ამ წიგნს ავტორი.“

წიგნის პირველ სამ თავში ავტორი ისეთ საჭირო ცნობებს გვაწვდის სინას მთის ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა და ალბანეთის ანბანისა და დამწერლობა-მწერლობის შესახებ, რომელთა ცოდნაც აუცილებელია, რომ მკითხველმა კარგად გაიაზროს ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ალბანური გეტსის აღმოჩენას და მის გამოფრვას აქვს.

წიგნის პირველი თავი იწყება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მოკლე ისტორიის მოთხრობით, შემდეგ ავტორი ასევე მოკლედ გვიამბობს იმის შესახებ, თუ რა დროიდან გვხვდებიან ქართველები ამ მონასტერში, რომ ესაა პერიოდი VI საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნემდე, უფრო ინტენსიური ხანა კი ამ მონასტერში ქართველთა მოღვაწეობისა, როგორც შემოთ აღვნიშნეთ, IX-X საუკუნეებია, უფრო X საუკუნე.

ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ქართული კოლექციის შესასწავლად სინას მთაზე კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტიდან მოწყობილმა ექსპედიციამ (მ. ალექსიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იგი ოთხჯერ შედგა: 1990, 1994, 1995, 2000წ.წ.) ამ კოლექციაში 141 დასახელების ქართული ხელნაწერი გამოაღწინა. მათგან უმრავლესობა ხელნაწერ წიგნს წარმოადგენს. 10 გრაფიკულია. ზოგი სრულია, ზოგიც ნაკლები და დამიანებული. უფროსწილად საერთო რაოდენობა 4000-ზე მეტია. აქვია აგრეთვე დიდი რაოდენობით ურატგმენტები. „ეს აღმოჩენა -

როგორც მ. ალექსიძე აღნიშნავს, - ალბათ უნდა ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის ყველა დროის ყველაზე დიდ აღმოჩენად.“

სინური ხელნაწერების ქართულ ახალ კოლექციაში აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა, როგორებიცაა მაგბერულ-ჭელიშური რედაქციებისაგან განსხვავებული და მათზე ძველი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორი რედაქცია, კელაეცნობილთაგან განსხვავებული რედაქციის ასურულ მამათა ცხოვრების წიგნები, ანბანური პატერიკი, დიდი რაოდენობით ლიტურგიკული კრებულები, უმეტესად იერუსალიმური ღვთისმსახურებისა და სხვ. კოლექციაში გვხვდება აგრეთვე: ფსალმუნები, ოთხთავები, მამათა სწავლანი, პატიოგრაფიული კრებულები, საკითხავები ძველი აღთქმის წიგნებიდან. სხვათა შორის, მალე გამოქვეყნდება მ. ალექსიძის, მ. ქაეთარაის, მ. შანიძის და ლ. ხეხუროანის მიერ მალაღ მეცნიერულ ღონივრე შედგენილი ახლად მიკვლეული ქართული ხელნაწერების კატალოგი ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენებზე. ასე რომ ეს ექსპედიცია ძალზე წარმატებული იყო. მან საუკეთესოდ წარმოაჩინა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციის რაობა და უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლისათვის.

ქართულ-ალბანური პალიმფსესტები მ. ალექსიძემ ორ ხელნაწერში დაადასტურა. ესენია N/Sin. 13 და N/Sin. 55. აღსანიშნავია, რომ N/Sin. 55 მთლიანად გაქვავებული იყო. ხელნაწერთა ინსტიტუტის რესტავრატორებმა, რომლებიც ამ საქმეში თავისი დახელოვნებით გამოიჩინეს,

პერგამენგის ქვაბქუელი მასა სრულფასოვან ხელნაწერად აქციეს. ამ ხელნაწერების პირველადი შესწავლით გაირკვა, რომ მათში გადარჩენილი ფურცლების რაოდენობა 170-მდეა, თორმეტი ფრაგმენტით. ამათგან ქვედა ტექსტი ბევრ ფურცელზე ისეა გადარეხილი, რომ სრულიად აღარ იკითხება. რაც შეეხება ზედა ტექსტს, იგი X ს-ში გადაწერილი ე.წ. ანბანური პატერიკია.

კავკასიის ალბანეთი მდებარეობდა აღმოსავლეთ კავკასიაში, ძირითადად თანამედროვე ამერბაიჯანის ტერიტორიაზე. ალბანეთი ამ ქვეყანას ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით ეწოდება. სომხურ წყაროებში მისი სახელწოდებაა: ალუანქ/ალუნანქ, ქართულში – რანი, ალუანი და პერეთი, არაბულ წყაროებში კი – არარან.

ალბანი ხალხის გადაშენება და მისი კულტურული ფასეულობების გაქრობა, როგორც ავტორი წერს, შედეგი იყო იმ პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლისა, რაც აღრეშუასაუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბიზანტიისა და სპარსეთის დიდი მონაწილეობით. წიგნის II თავში გვაწვდის რა ამ ცნობებს, მ. ალექსიძე დაწერილებით განიხილავს სომეხი და ამერბაიჯანელი სპეციალისტების თვალსაზრისებს ალბანოლოგიის პრობლემათა შესახებ. ეს პრობლემებია: „როდის ჩამოყალიბდა ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო, რა ტერიტორიის მოიცავდა იგი, როგორი იყო მისი ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაციის პროცესი, შექმნა თუ არა ალბანურმა მოსახლეობამ თავისი დამწერლობა და მწერლობა. თუ შექმნა, რა ენაზე.. რამდენად განვითარდა იგი და რამდენ ხანს იარსება.“ მ. ალექსიძის შეფასებით, სომეხი და ამერბაიჯანელი სპეციალისტების თვალსაზრისები ერთმანეთისაგან რა-

დიკალურად სხვაობს და ორივე გენდენციურია.

III თავში ავტორი, პირველ რიგში, ასახელებს წყაროებს, სადაც მოცემულია ცნობები ალბანური დამწერლობისა და მწერლობის შექმნისა და არსებობის შესახებ. ეს წყაროებია: მოსე ხორენელის (V-IX სს.) „სომხეთის ისტორია“, კორინთის (V ს.) „მაშტოცის ცხოვრება“ (ხელნაწერები გვიანდელია), მოსე კალანკატუელის (VII-X სს.) „ალბანთა ქვეყნის ისტორია“. VIII საუკუნის ისტორიკოსი ლევონდი/ ლევონდი ჩამოთვლის ენებს, რომლებზედაც არსებობს სახარება და მათ შორის მე-12 ადგილზე დასახელებულია ალბანური. ყველაზე უფრო ზუსტი დოკუმენტური ცნობა კი ალბანური დამწერლობისა და მწერლობის არსებობის შესახებ დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მასალებში ყოფილა დაცული. მ. ალექსიძე ასახელებს აგრეთვე XVII-XVIII სს-ის სომხურ ხელნაწერებს, რომელთა ტექსტიც ძალზე ძველია და სათაურად წამძღვარებული აქვს: „წმიდა და ღვთაებრივი მირონის შესახებ, რომელიც იპოვეს წმ. მამებმა აღმოსავლეთში ალბანურ ენაზე და თარგმნეს სომხურად“.

გარდა ამისა, ქართულ და სომხურ ხელნაწერებში შემონახულია ალბანური კალენდრის თვეთა სახელები (ესენია: ნაეასართუნ, გულენ, ნამუკ, ცილე, ბაკაიონ, მარე, ავუკინე, ნაკულიონ, ბუნგოკე, ეორსილინ, იეხან, ხებნა). როგორც ავტორი წერს, „ეს კალენდარი არის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ალბანური ენის უდიურთან დასაკავშირებლად. მისივე აზრით, „იგივე კალენდარი უნდა ჩაითვალოს დოკუმენტურ მოწმობად ალბანური მწერლობის არსებობისა, სხვაგვარად შეუძლებელია ალბანური ხალხური კალენდარი

გვიანმუხასაუკუნეებამდე შემოენახა კავკასიურ წერილობით გრადიციას”.

III თავშივე ავტორი ეხება ალბანური დამწერლობის იმ დოკუმენტებს, რომელთა აღმოჩენაც XX საუკუნის შუა წლებში დაფიქსირდა. „როდესაც ალბანური დამწერლობის რაიმე ნიმუშის აღმოჩენის იმედი უკვე გადაწურული იყო - წერს მ. ალექსიძე - 1937 წელს ილია აბულაძემ ერზიანის ხელნაწერებს შორის XV საუკუნის ხელნაწერში აღმოაჩინა სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელშიც ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სირიულ, კოპტურ და არაბულ ანბანებთან ერთად მოცემული იყო ალბანური ანბანიც.“

ნამუშაოში ვრცელადაა საუბარი ამ მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ, რომლის თარიღიც (1937 წ. 28 სექტემბერი) მიჩნეულია „კავკასიის ალბანური ფილოლოგიისა და კავკასიის ალბანური ენათმეცნიერების დაბადების დღედ“.

ა. შანიძემ, რომელმაც ეს ანბანი მისწავლა, მისი ავთენტურობა დაადასტურა, ხოლო მასში მოცემული ბგერათსისტემის სიახლოვე დაინახა ლემბიურ ენათა ჯგუფის წარმომადგენლის უდიური ენის ბგერათსისტემაში.

ამის შემდეგ კვლავ აღმოჩნდა ხელნაწერი ალბანური ანბანით, მაგრამ იგი ილია აბულაძის მიერ აღმოჩენილი XV ს-ის ხელნაწერის ასლი გამოდგა (ხელნაწერი გადაწერილია 1580 წელს. მის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა ამერიკელმა არმენოლოგმა ა. ქერდიანმა 1956 წელს).

როგორც მ. ალექსიძე წერს, „ალბანოლოგიის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა 1948-1952 წლებში ამერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორიაზე რამდენიმე ლაბორატორიული წარწერისა და გრაფიკის აღმოჩენამ, რომელთა ერთობლიობასაც დღეს

პირობითად ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ“ (სხვათა შორის, მათ გამოიყრუაზე მუშაობას მ. ალექსიძე მოძაველისათვის გეგმავს). ამ აღმოჩენების შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს მხოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეციალისტებმა, მაგრამ მ. ალექსიძის თქმით, ალბანურ წარწერათა გამოიყრუვის ცდები არსებითად ჩიხში მოექცა“.

ავტორი ასახელებს ჩიხის მიმგებებსაც. ჯერ ერთი, სომხურ ხელნაწერში არსებული ანბანი გადაწერილი იყო რამდენჯერმე ალბანური ენის არმცოდნეთა მიერ და ამიგომ ბევრი შეცდომა იყო დამეებული როგორც გრაფიკულ მოხაზულობაში, ისე ფონემურ მნიშვნელობათა გადმოცემაში. მეორეც, მეცნიერები არ იყენენ დარწმუნებულად, რომ ალბანური წარწერები უდიური ენის მეშვეობით უნდა გამოიყრუდეს, თუმცა უდიურიც ძალიანაა დამორებული ძველ ალბანურს.

სხვათა შორის, აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რამ განაპირობა, რომ უდიური ენა, რომელიც ალბანური ენის მემკვიდრე და მისი ჩამომავალია, დროთა განმავლობაში უმწერლობო ენათა ჯგუფში მოექცა? სხვანაირად, რაგომ ვერ გადაარჩინეს უდიებმა თავისი წინაპარი ხალხის ალბანთა (ძველი უდიების) დამწერლობა? ამისი მიგზი რა თქმა უნდა, ალბანური მწერლობის ძველების სრული განადგურება და გაქრობა იყო.

წიგნში IV თავიდან ბოლომდე წარმოდგენილია ქართულ-ალბანურ პალიმფსესტებზე ავტორის მუშაობის ძიოელი პროცესი.

ტექსტის გამოიყრუაზე მუშაობის დაწყებას, პირველ რიგში, წინ უძღოდა ხელნაწერების კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლა. კოდიკოლოგიურმა შესწავლამ, სხვათა შორის, ისიც აჩვენა, რომ ალბანეთი ეკონომიურად კარგად

განვითარებული და საკმაოდ მდიდარი ქვეყანა უნდა ყოფილიყო (ხელნაწერის დამზადება ხომ ძალიან ძვირი ჯდება). პალეოგრაფიული შესწავლა კი მიზნად ისახავდა ალბანურ ტექსტში გრაფემათა რაოდენობის გამოვლენას (გრაფემათა რაოდენობამ აქ 54-ს მიაღწია) და წერის მიმართულების დადგენას; ალბანური დამწერლობა ქართულისა და სომხურის მსგავსად ორიენტირებული აღმოჩნდა წერის მიმართულებაზე მარცხნიდან მარჯვნივ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში, თუ როგორ ხდებოდა ავტორის მიერ ალბანური ტექსტის გასამიფრავად უმოკლესი გზის ძიება. ამ გზის ძიებამ მიიყვანა იგი იმ უტყუარ დასკვნამდე, რომ პალიმფსესტში დაცული უნდა ყოფილიყო ალბანური ლექციონარის ტექსტი (დაწერილებითაა მოთხრობილი, თუ ძველი სასულიერო მწერლობის ძეგლებიდან როგორ შეჩერდა მისი არჩევანი ლექციონარზე).

ტექსტის რაობის დადგენას მოჰყვა მისი ფორმალური ანალიზი და ალბანური ხელნაწერების ფორმალური შედარება ქართული და სომხური ლექციონარების ხელნაწერებთან.

ტექსტის ფორმალური ანალიზი გულისხმობდა ვაბშით ნაწერი ტექსტის დამლას სიგყვებად ან რაღაც შედარებით მცირე ერთეულებად მაინც. ამის სამუალებას, როგორც ავტორი წერს, იძლეოდა: განკვეთილობის ნიშნები, საშვედაო ასოები, ქარაგმები, გზნის ინფინიტივის დაბოლოებები, მოგიერთი ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის სავარაუდო ცოდნა, შედარებით მცირე ასოებით ნაწერი, შესაძლოა, სათაურები, რომელთაც აუცილებლად ახალი სიგყვა უნდა მოჰყოლოდა და აგრეთვე აღრიცხვა ტექსტში გამეორებული ადგილებისა.

რაც შეეხება ალბანური ხელნაწერებ-

ის ფორმალურ შედარებას ქართული და სომხური ლექციონარების ხელნაწერებთან, მცირე ზომის ასოებით ნაწერი ადგილების შედარებამ ქართულ ხანმეტ ლექციონართან, რომელსაც, როგორც ცნობილია, სპეციალისტები მე-5 საუკუნით ათარიღებენ, სავსებით დაადასტურა ავტორის ვარაუდი, რომ მათი სახით საქმე ჰქონდა სწორედ საკითხავების სათაურებთან. ეს ამრიგ მოგვიანო ხანის სომხურ ლექციონართან შედარებამაც განუმტკიცა და მხოლოდ ამის შემდეგ მან ხელი მოჰკიდა ტექსტის წაკითხვას.

ტექსტის გაშიფრვას მ. ალექსიძე მთლად ეარიელი ხელებით არ შესდგომია. მას ხელთ ჰქონდა XV ს-ის სომხურ ხელნაწერში ილია აბულაძის მიერ აღმოჩენილი ალბანური ანბანი და არსებობდა დალესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ენა – უდიური, რომელიც ალბანურის ჩამომავლად ითვლებოდა, მაგრამ ეს სამუალებები დიდ იმედებს არ იძლეოდა, რადგან სომხური ხელნაწერის ანბანი, როგორც უკვე ვიცით, იმის გამო, რომ ბევრჯერ იყო გადანაწერი (მისი არქეტიპი, როგორც თვითონ მ. ალექსიძემ გაარკვია, IX საუკუნეზე აღრინდელი უნდა ყოფილიყო) ძალზე დამიანებული და დამახინჯებული იყო, უდიური კი ათასწლეულის მანძილზე, ცხადია, გრამატიკულად თუ ლექსიკურად ღიდად შეცვლილი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, მკვლევარი იმედს მაინც მათზე ამყარებდა, მათზე და, როგორც თვითონ წერს, განგების ნებაზე. იმედმა გაამართლა.

ძიების პროცესი წიგნში შემდეგნაირადაა აღწერილი: რაკი უკვე აღარ ეპარებოდა ვჭვი, რომ ხელთ ჰქონდა ალბანური ლექციონარის ტექსტი, რამდენიმე თვის დაძაბული შრომის, სხვადასხვაგვარი გა-

ნათების, გამაღილებელი საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების შედეგად მ. ალექსიძემ მეტ-ნაკლებად მუსტად გადმოწერა ორმოცამდე საეარ-აულო საკითხავის სათაური.

უკვე ამის შემდეგ მან გადაწყვიტა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ალბანური ტექსტი წაეკითხა სომხურ ხელნაწერში შემონახული ანბანის საშუალებით. პირველ ყოვლისა, ლექციონარში იგი ეძებდა მოსალოდნელ ნაცნობ ანთროპონომებსა და გოპონიმებს. მთელ ორმოც სათაურში ბოლოსდაბოლოს ასეთი, უკვე აღადამოკითხული სიგყვა აღმოჩნდა ერთადერთი სიგყვა, რომელსაც ქართულში შეესაბამება „თესალონიკი“.

თუ რა განწყობა დაეუფლა პირველი სიგყვის ამოკითხვის შემდეგ, მ. ალექსიძე ამის შესახებ საკმაოდ ემოციური ტონით წერს: „თესალონიკს“-ს ამოკითხვა ეჭვს არ იწვევდა, რადგან ყველა ასო როგორც გრაფიკულად (არაბარსებითი განსხვავებებით), ისე ფონემურად ემთხვეოდა სომხურ ხელნაწერში მოცემული ანბანის ასოებს ... ცხადია, მე ეს სიგყვა ქართულად უნდა გამეგო როგორც „თესალონიკელთა“, თუკი რაიმე ფაგალური დამთხვევის წინაშე არ ვიდექი. ისიც აშკარა იყო, რომ რადგან სათაურში გვაქვს „თესალონიკელთა“, საქმე უნდა გვექონდეს პაელე მოციქულის ეპისტოლესთან თესალონიკელთა მიმართ. აი, ამ მომენტში მე უკვე პირველად მივხვდი, რომ ალბანური ტექსტი იწყებს ლაპარაკს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იყო ჩემი მღელვარება. მაშინვე გამახსენდა იე. ჯავახიშვილის სიგყვები, წარმოთქმული 1923 წლის 10 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე, როდესაც მან ბოლდეს ბიბლიოთეკაში დაკულ ქართულ-ებრაულ

პალიმესტში თაემკრული ბანი დაადგურა“:

ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან, როგორც ვიცი, იე. ჯავახიშვილმა ერთ ხანს მუშაობის გაგრძელება ველარ შეძლო, რადგან მისთვის ცხადი გახდა, რომ თვალწინ ქართული მწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი ედვა.

იგივე დაემართა მ. ალექსიძესაც. მღელვარებისაგან ერთხანს ვერც მან შეძლო მუშაობის გაგრძელება. აღმოჩენის სიხარული, როგორც ჩანს, ერთნაირ ემოციებს იწვევს მათ ავტორებში.

პირველი მღელვარების დაცხრომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა: „თესალონიკელთას“ მოკყვა ალბანური დაწერილობით და ჟორმით „კორინთელთა“, „ებრაელთა“, „ეფესელთა“, „გიმოთეს [მიმართ]“, შემდეგ საკუთარი სახელი „პაელოსი“ (პაელე) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

წიგნში თანმიმდევრულადაა აღწერილი მთელი პროცესი იმისა, თუ ერთი სიგყვისა და ფრაზის მიგნებას როგორ მისყაედა მკელევარი თანდათანობით სხვა სიგყვისა თუ ფრაზის მიგნებაზე და როგორ ეშველებოდა მას ამ პროცესში როგორც უდიური ენა, ისე ქართულ-სომხური შესაბამისი ტექსტების მონაცემები. ასე მაგ. პაელეს ეპისტოლეთა ერთი ჯგუფის სათაურებში (თესალონიკელთა, კორინთელთა, გიმოთეს [მიმართ]) სხვებისაგან განსხვავებით იკითხებოდა ორი ზედმეტი სიგყვა: „სერბაუნ“ და „პურანინ“. რაკი ამ მისამართებით პაელეს მიერ ორ-ორი ეპისტოლე იყო გაგზავნილი, ცხადია, ამ ორი სიგყვიდან ერთი უნდა ყოფილიყო „პირველის“ აღმნიშვნელი სიგყვა, ხოლო მეორე – „მეორისა“. რომელი იყო მათ შორის „პირველი“ და რომელი – „მეორე“, ამის გასარკვევად მკელევარს უდიური ენა

დაეხმარა, სადაც „ერთის“ აღმნიშვნელი სიგყვაა „სა“, ხოლო „ორისა“ – „აა“. აქედან სრულიად უმტკივნეულოდ გაკეთდა დასკვნა, რომ „პირველის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო „სერბაუნ“, ხოლო „მეორისა“ – „კურანინ“ (სხვათა შორის, „კურან“ ღღევანდელ უდიურში ნიშნავს: კელავ, განმეორებით).

იმ გექსტში, რომელიც „კორინთელთა მეორე“ უნდა ყოფილიყო, მკვლევარმა დააფიქსირა, რომ ერთი და იგივე სიგყვა „მარაკესუნუხ“ მიყოლებით ცხრაჯერ მეორდებოდა. უდიურში „მარ“ არის ჩირქი, ხოლო „აკესუნ“ – ნახვა, განცდა. რაკი ღღევანდელ უდიურში -უხ არის მრავლობითობის სუფიქსი, ცხადია, ასევე იყო ალბანურშიც. ამ კომპოზიციის შესატყვისი ქართულ-სომხურ შესაბამის გექსტებში შეიძლებოდა ყოფილიყო „ჭირთა ნახვანი“, „ჭირი“. მართლაც, ეს სიგყვა ასევე მრავლად აღმოჩნდა „I კორინთელთას“ 11, 26-27 მუხლებში. ამ კონტექსტში სიგყვა „ჭირის“ რამდენჯერმე გამეორებით ლაპარაკია იმის შესახებ, თუ პაულე მოციქულმა რა განსაძდეღი ვადაიგანა და რა ჭირი ნახა მდინარეთაგან, ავაზაკთაგან, ხალხისაგან, ქალაქებში, უდაბნოებში, ზღვაში და სხვ.

ჩამოთულამი, თუ რისგან რა ჭირი ნახა პაულე მოციქულმა, ალბანურ გექსტში ამ აღვიღას იკითხებოდა რამდენიმე სიგყვა, რომლებიც იმავე სახით დასტურდება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში, აგრეთვე სომხურსა და უდიურში. ეს სიგყვებია:

„აბაჰაკ“ (=ყაჩადი) – ეს სიგყვა ღღესაც ამავე ფორმით და შინაარსით იხმარება უდიურში, ხოლო „ავაზაკის“ სახით ქართულსა და სომხურში.

„პეთანოს“ (=წარმართი) – იხმარება სომხურში.

„ქალაქ“ (=ქალაქი) – ასევეა ქართულსა და IX საუკუნემღღელ სომხურში.

ამავე კონტექსტში მის მიერ ამოკითხული სიგყვა „ბუსინ“ ზ. ალექსიძემ მეუფარდა სიგყვას „შიმშილით“ (გექსტში ამ აღვიღას ლაპარაკია შიმშილით ჭირის ნახეამე), რადგან ღღევანდელ უდიურში „ბუსა“ სწორედ შიმშილს აღნიშნავს.

ამგეარად, ღღდი შრომისა და ვარჯის ფასად და გამორჩეული მეცნიერული აღღოს წყაღობით ზ. ალექსიძემ წაიკითხა ალბანური ლექციონარის გექსტის ღღდი ნაწიღი. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ გექსტის კითხვისას ერთღროულად ხღებოდა ხუთი-ექვსი საუკუნის განმავღობაში გაღამწერთაგან ღამახინჯებული და ღამიანებული სომხური ხელნაწერის ანბანის ვასწორება, საერთოდ ალბანური ანბანის იღენტიფიკაცია.

ზ. ალექსიძემ, ვარდა იმისა, რომ ქართულ-ალბანურ პაღიმფსესტებში ალბანური ლექციონარის გექსტი ღაადასტურა, მან ეს ლექციონარი ფიღოღოღიური თვალსაზრისითაც შეისწავღა და აქაც თავისი სიგყვა თქვა.

ლექციონარი, როგორც ვიცით, ლიგურგიკული კრებულია, რომელშიც შეგანიღღია საკითხავები ბიბღიის წიგნებიღან მთელი წღის საღღესასწაუღო ღღევებში საკითხავად. ისიც ცნობიღია, რომ ლექციონარი ვითარღებოღა მარტივიღან რთუღისაღენ. სინას მთაზე აღმოჩენიღი ალბანური ლექციონარი, ზ. ალექსიძის ვამოკვღევის თანახმად, ლექციონარის განვითარების ყვეღაზე აღრინღღელ ეგაქს გვიჩენებს და შინაარსის მიხეღვით IV-V სს-ის მიჯნით ღათარიღების შესაძღებღობას იღღევა. თუმცა, მისივე აზრით, ხეღნაწერიც შეიძღება ამავე ხანებში იყოს შექმნიღი ან ცოგა უფრო გვიან (მაგრაბ

მინგეჩაურის წარწერებზე უფრო ადრე).

რადგან ბიბლიის წიგნების თარგმნა, საერთოდ, ყველა ენაზე უფრო ადრე იყარაულება, ვიდრე ლექციონარის შედგენა, ამიტომ ალბანური დამწერლობის შექმნაც უფრო ადრინდელი ან დაახლოებით იმავე ხანით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება ალბანური ლექციონარის შექმნის ადგილს, ზ. ალექსიძის აზრითვე, იგი შექმნილი უნდა იყოს იერუსალიმურ გარემოში და უნდა მიეკუთვნებოდეს იერუსალიმური ლექციონარის უადრეს ტიპს. მკვლევრის აზრით, ლექციონარების ქრინოლოგია ახლებურად შეიძლება ამგვარად იქნეს წარმოდგენილი: ბერძნული (დაკარგულია) → ქართული ხანმეტური და ალბანური – სომხური – სირიული – დიდი ქართული ლექციონარი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ალბანური ლექციონარი, ავგორის დაკვირვებით, ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას ქართულ ხანმეტურ ლექციონართან და შესაძარებელი მასალის მიხედვითაც მეტი საერთო აქვს ქართულ ლექციონართან, ვიდრე სომხურთან.

ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტიც, რომ ქართული ხანმეტური და ალბანური ლექციონარები ორივე ერთდროს გადაწერილი და ერთი ტიპისანი

სინას მთაზე ერთდროულად თანაარსებობდნენ (ქართული ხანმეტური ლექციონარიც ხომ სინური წარმოშობისაა).

წიგნს ბოლოს ერთვის „ალბანური ლექციონარის“ საკითხაეების სათაურთა ნიმუშები გრანსკრიპციითა და სიგყვა-სიგყვითი ქართული თარგმანით (თავი VII) და იდენტიფიცირებული და ამოკითხული ტექსტების ნიმუშები და მათ ფარგლებში ალბანური ენის გრამატიკული აღწერა ლექსიკითურთ (თავი VIII). დარჩენილი ტექსტის გაშიფრვა გრძელდება.

ზ.ალექსიძის აღმოჩენა მრავალმხრივია მნიშვნელოვანი და საყურადღებო. იგი, პირველ რიგში ძალზე ფასეულია როგორც ალბანეთის, ასევე ადრეული საუკუნეების მთელი ამიერკავკასიის ისტორიის შესწავლისათვის. უდიდესია ამ აღმოჩენის მნიშვნელობა აგრეთვე მთის კავკასიურ ენათა შესწავლის თვალსაზრისით, კერძოდ კი, დაღესტნური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის. რაც შეეხება ალბანურ ლექციონარში დადასტურებულ ბიბლიურ საკითხაეებს, მათ ერთ ნაწილს შესაგყვისი არ ეძებნება სხვა ენებზე, ასე რომ, ასეთ საკითხაეებს სერიოზული წვლილის შეგანა შეუძლიათ ბიბლიის ტექსტის არქეტიპის რეკონსტრუქციის საქმეში.

ცოალა ქურციკიძე